ჟურნალ „სოციალური ეკონომიკის“ რედკოლეგია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს **გურამ ყუფუნიას** გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

გარდაიცვალა თვალსაჩინო მეცნიერი, უმაღლესი განათლების ღვაწლმოსილი პედაგოგი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი (ემერიტუსი) გურამ ყუფუნია.

გურამ ყუფუნია დაიბადა 1936 წლის 31 მაისს, მარტვილის რაიონის ს. ტალერში.

1954 წელს დაამთავრა დიდი ჭყონის საშუალო სკოლა. 1954-1959 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, რომლიც წარჩინებით დაამთავრა. 1961 1964 წლებში იყო საქარველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ასპირანტი. 1974 წელს გაიარა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის უმაღლესი ეკონომიკური კურსები.

1974 წელს მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, 1977 წელს - უფროსი მეცნიერ თანამშრომლის სამეცნიერო წოდება.

1959-1961 წწ. მუშაობდა თბილისის საფინანსო-ეკონომიკური ტექნიკუმში, პოლიტიკური ეკონომიის მასწავლებელად. 1964-2006 წწ. იყო ეკონომიკის, დაგეგმვისა და სოციალური პრობლემების ს კ ი უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, განყოფილების გამგე და დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში. 2011-2015 წწ. - მოწვეული იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესისა და ინჟინერინგის ფაკულტეტის პროფესორად. 2016 წლიდან მიენიჭა ამავე უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორის წოდება.

იგი შეთავსებით პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. 1966-1977 წწ. - თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში იყო პოლიტიკური ეკონომიის ლექტორი, 2000-2010 წწ. - თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი (თეუსი) - პროფესორი, 2002-2008 წწ. - თბილისის ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის იურიდიულ-ეკონომიკური ინსტიტუტის პროფესორი და რექტორი.

1976-1977 წწ. ასევე შეთავსებით მუშაობდა ჟურნალ "ეკონომისტის" განყოფილების გამგედ; 1995-2006 წწ. - ქართული ენციკლოპედიის ეკონომიკისა და სამართლის განყოფილების გამგედ; მთავარი სამეცნიერო რედაქციის წევრად.

სხვადასხვა წლებში მიწვეული იყო სახელმწიფო საგამოცდო კომისის თავმჯდომარედ რიგ უმაღლეს სასწავლებელში. იყო საკანდიდატო, სამაგისტრო და სადოქტორო ხარისხების 20-ზე მეტი მაძიებლის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

იყო 200-ზე მეტი მეცნიერული, მ. შ. 120-ზე მეტი გამოქვეყნებული ნაშრომის ავტორი.

გურამ ყუფუნია 1996 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

ბატონი გურამი იყო უაღრესად ერუდირებული, საქმისადმი უდიდესი პასუხიმგებლობით აჭურვილი, ახალგაზრდობისადმი თავდადებული, უაღრესად გულისხმიერი, მეგობრული, ამავე დროს, პრინციპული ადამიანი, მხურვალე პატრიოტი.

მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მეგობრების, ახლობლების, ახალგაზრდობის გულში.

რ. აბესაძე, ა. აბრალავა, ს. არჩვაძე, თ. ბაბუნაშვილი, ე. ბარათაშვილი, რ. ბასარია, მ. გველესიანი, რ გოგოხია. დ. დავითულიანი, ვ. დათაშვილი, დ. იაკობიძე, რ, კაკულია, დ. კვარაცხელია, ი. კვესელავა. პ. კოღუაშვილი, პ. ლემონჯავა, გ. მალაშხია, ე. მექვაბიშვილი, ს. სანაძე ა. სიჭინავა, რ. ქუთათელაძე, რ. შენგელია, გ. შუბლაძე, კ. ღურწკაია, ნ. ჭითანავა, კ. ხმალაძე, დ. ჩომახიძე, რ. ჯავახიშვილი.

სოციალური ეკონომიკა

XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები

(მეორე-მესამე ნომრის დამატება)

ლექციების კურსი